ხელშეკრულება№44
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი

გორი **18 მარტი 2019 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი),მისი დირექტორის **გიორგი პურიჭამიაშვილის** სახით (საიდენთიფიკაციო კოდი 418471059) და მეორეს მხრივ, **ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი** (ს/ნ43001000395) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა)-პუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1])-ქვეპუნქტი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი სამი ავტომობილისთვის CC311CD, CC312CD, CC313CD სათადარიგო ნაწილების, საპოხი მასალების და მანქანის შეკეთების მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

CPV კოდი	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ფასი	სულ	მანქანის ნომერი
42913400	საწვავის ფილტრი	ცალი	1	15	15	CC311CD
42913500	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	15	15	CC311CD
44442000	შარაოი (სამუხრუჭე მოწყობილობა)	ცალი	2	40	80	CC311CD
44550000	ამორტიზატორი	ცალი	2	130	260	CC311CD
19510000	სუხოის რეზინი (მაყუჩის რეზინი)	ცალი	6	5	30	CC311CD
19510000	რისორის დაფა	ცალი	1	30	30	CC311CD
19510000	უდარნიკი	ცალი	1	30	30	CC311CD
34322100	უკანა კალოდკები (სამუხრუჭე ხუნდი)	ცალი	1	50	50	CC311CD
19510000	პილნიკი	ცალი	1	10	10	CC311CD
50112100	ხელობა				140	CC311CD
31511000	უკანა ფარი	ცალი	1	50	50	CC312CD
31519100	ნათურები	ცალი	1	10	10	CC312CD
42913500	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	15	15	CC312CD
42913400	საწვავის ფილტრი	ცალი	1	20	20	CC312CD
34322100	წინა კალოდკები (სამუხრუჭე ხუნდი)	ცალი	1	55	55	CC312CD
19510000	სუხოის რეზინი (მაყუჩის რეზინი)	ცალი	6	5	30	CC312CD
50112100	ხელობა				45	CC312CD
34322100	წინა კალოდკები (სამუხრუჭე ხუნდი)	ცალი	1	60	60	CC313CD
42913400	საწვავის ფილტრი	ცალი	1	15	15	CC313CD
42913500	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	15	15	CC313CD
44442000	წინა პაჩებნიკები	ცალი	1	240	240	CC313CD
34322100	უკანა კალოდკები (სამუხრუჭე ხუნდი)	ცალი	1	50	50	CC313CD
19510000	რისორის რეზინა	ცალი	6	10	60	CC313CD
44550000	კალოდკის პრუჟინები (სამუხრუჭე მოწყობილობა)	ცალი	1	10	10	CC313CD
34322100	სუპორტი	ცალი	1	150	150	CC313CD
34328200	კალბაკები	ცალი	4	15	60	CC313CD
44165100	აბრატნის შლანგი	ცალი	1	1	10	CC313CD
50112100	ხელობა				195	CC313CD
	სულ				1750	

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს, ყველა თანმდევი გადასახადების გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: არაუგვიანეს 2019 წლის 18 მარტი.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია გორი. ბაქოს ქ. N14/13

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა/ზედნადები/მიღება-ჩაბარების აქტი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 (ერთი) კალენდარულ დღეში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა

ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03% ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 30 მაისამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი
დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი გიორგი ნასყიდაშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების
მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის	**ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი**
განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო	ს/ნ 43001000395
ს/კ 418471059	მის: გორი, ბაქოს ქ.N14/13
სახელმწიფო ხაზინა – TRESGE22	ა.ა GE84BS 0000 0000 8843 6946
მის: გორი. სტალინის გამზ. № 11	ს.ს. „ბაზის ბანკი“.
/გ. პურიჭამიაშვილი/	/მ. უმეკაშვილი/

Giorgi Purichamiashvili
Подписано цифровой подписью: Giorgi Purichamiashvili
Дата: 2019.03.18 14:15:40 +04'00'

Malkhazi Umekashvili
Подписано цифровой подписью: Malkhazi Umekashvili
Дата: 2019.03.18 14:10:40 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი #44

(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

გორი **18 მარტი 2019 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი),მისი ინსპექტირების განმახორციელებელი პირის გიორგი ნასყიდაშვილის სახით (საიდენთიფიკაციო კოდი 418471059) და მეორეს მხრივ, **ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი** (ს/ნ43001000395) (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი) სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2019 წლის 18 მარტს დადებული ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლისა და მომსახურების შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიმწოდებელმა“ შეასრულა მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს – 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

შემსყიდველი მიმწოდებელი

/გ. ნასყიდაშვილი/ /მ. უმეკაშვილი/

Giorgi Naskidashvili

Подписано цифровой подписью: Giorgi Naskidashvili
Дата: 2019.03.18 14:16:49 +04'00'

Malkhazi Umekashvili

Подписано цифровой подписью: Malkhazi Umekashvili
Дата: 2019.03.18 14:11:46 +04'00'

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 18 მარტი 2019წ.
მიმწოდებელი: ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი (43001000395)
ხელშეკრულება: N44

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების“ **მე-8 მუხლის „ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“შესაბამისად** ვადასტურებთ, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

დირექტორი:	Giorgi Purichamiashvili	Подписано цифровой подписью: Giorgi Purichamiashvili Дата: 2019.03.18 14:16:10 +04'00'	გიორგი პურიჭამიაშვილი
ბუღალტერი:	Ana Mgebrishvili	Подписано цифровой подписью: Ana Mgebrishvili Дата: 2019.03.18 14:18:56 +04'00'	ანა მღებრიშვილი
შესყიდვების მენეჯერის მ/შ:	Sopiko Razmadze	Подписано цифровой подписью: Sopiko Razmadze Дата: 2019.03.18 14:19:45 +04'00'	სოფიკო რაზმაძე
იურისტი:	Pavle Tsabadze	Подписано цифровой подписью: Pavle Tsabadze Дата: 2019.03.18 14:18:01 +04'00'	პავლე ცაბაძე
მატ-ტექ.განყოფილების უფროსი:	Giorgi Naskidashvili	Подписано цифровой подписью: Giorgi Naskidashvili Дата: 2019.03.18 14:17:19 +04'00'	გიორგი ნასყიდაშვილი